

იმკ-ის ინტერპრეტაცია 25

მოგებიდან გადასახადები - ცვლილება საწარმოს ან მის აქციონერთა საგადასახადო სტატუსში

წყაროები

- ბასს 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს).
- ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 12 - „მოგებიდან გადასახადები“.

განსახილველი საკითხი

1. ცვლილებას საწარმოს ან მის აქციონერთა საგადასახადო სტატუსში შესაძლოა შედეგად მოჰყვეს საწარმოს საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების ზრდა ან შემცირება. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების ბირჟაზე ლისტინგში დაშვებისას, ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის რესტრუქტურირებისას. ეს ასევე შეიძლება მოხდეს საკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერის წასვლისას სხვა ქვეყანაში. ასეთი მოვლენის შედეგად, საწარმო განსხვავებულად უნდა დაიბეგროს; მაგალითად, საწარმომ შეიძლება მიიღოს ან დაკარგოს საგადასახადო შეღავათები, ან მომავალში მისი დაბეგვრა განსხვავებული საგადასახადო განაკვეთით განხორციელდეს.
2. საწარმოს ან მის აქციონერთა საგადასახადო სტატუსში ცვლილებას შესაძლოა მყისიერი ეფექტი ჰქონდეს საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე. ცვლილებამ ასევე შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს საწარმოს მიერ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, რაც დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს საგადასახადო სტატუსის ცვლილება იმ საგადასახადო შედეგებზე, რომლებიც წარმოიქმნება საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებების ამოღებითა და დაფარვით.
3. საკითხი მდგომარეობს იმაში, როგორ უნდა აღრიცხოს საწარმომ საგადასახადო შედეგები, რომლებიც მოჰყვება საწარმოს ან მის აქციონერთა საგადასახადო სტატუსის ცვლილებას.

კონსენსუსი

4. ცვლილება საწარმოს ან მის აქციონერთა საგადასახადო სტატუსში არ იწვევს მოგების ან ზარალის გარეთ აღიარებული თანხების ზრდას ან შემცირებას. საგადასახადო კანონში ცვლილების მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო შედეგები ჩართული იქნება პერიოდის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ შედეგებს კავშირი აქვს ისეთ გარიგებასა და მოვლენებთან, რომლებიც იმავე ან სხვა პერიოდში იწვევს პირდაპირ კრედიტს ან დარიცხვას საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ თანხაში. ის საგადასახადო შედეგები, რომლებიც ეხება საკუთარ კაპიტალში აღიარებულ თანხაში იმავე ან სხვა პერიოდში მომხდარ ცვლილებებს (რომელიც არ შედის მოგება-ზარალში), დადებულდება ან დაკრედიტდება პირდაპირ საკუთარ კაპიტალში. ის საგადასახადო შედეგებიც, რომლებიც სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ თანხებს ეხება, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში.

კონსენსუსის თარიღი

1999 წლის აგვისტო.

ძალაში შესვლის თარიღი

ეს კონსენსუსი ძალაში შედის 2000 წლის 15 ივლისს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები აისახება ბასს 8-ის შესაბამისად.

ბასს 1-მა (შესწორებული 2007 წელს) შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, განაპირობა მე-4 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. თუ საწარმო ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებებიც.